

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 4 ივნისის № 141/01-01 ბრძანების საფუძველზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის № 70/2024 დადგენილების მე -2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი
თსუ XI კორპ., ოთახი #325

„24“ ივლისი, 2024 წელი
13:00 სთ.

სხდომას კომისიის ოთხი წევრიდან ესწრებოდა ოთხივე წევრი:

1. მაგდა ცინცაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. გელა ბესიაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ირინა ხუციშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. მაია არჩუაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ მაგდა ცინცაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ლელა მირცხულავამ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტის ლელა მირცხულავას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურდანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2009 წლიდან დღემდე ეკავა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (7 სასწავლო კურსი ბაკალავრიატში, მათ შორის 4 ინგლისურენოვანი კურსი, და 3 სასწავლო კურსი მაგისტრატურაში; 3 ელექტრონული საბაკალავრო კურსი moodle პლატფორმაზე), კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (2 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი - Introduction to Cybersecurity, Cisco და NDG Linux, Cisco - 2021 წელს; 1 ტრენინგი Horizon Europe ეგიდით - 2022 წელს; 1 ტრენინგი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ძირითადი ასპექტები“ - 2023 წელს; 32 სერტიფიკატი, გაცემული Mercy Corps -ის მიერ) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები წარმოადგენს კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნებს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 29 მნიშვნელოვანი პუბლიკაცია; კონკურსანტის ციტირების ინდექსი, h და g ინდექსები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ციტირების ინდექსი	h -ინდექსი	g -ინდექსი
Google scholar - 176	7	12
Scopus - 68	5	
Web of Science - 18	3	

ბოლო 6 წლის განმავლობაში კონკურსანტმა გააკეთა 16 მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე; მიიღო მონაწილეობა 3 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტში; იგი თანამშრომლობს 2 უცხოეთის სამეცნიერო ცენტრთან. ლელა მირცხულავას მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც

მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტი არის ბევრი საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის წევრი (ACM, IEEE, European Cooperation in Science and Technology -ის მართვის კომიტეტის წევრი; კიბერუსაფრთხოების სამეცნიერო ასოციაციის (SCSA) მკვლევარი; AIMed - მრჩეველთა საბჭოს წევრი, ელჩი; გაერთიანებული სამეფოს მოდელირებისა და სიმულაციის საზოგადოების (UKSim) წევრი; ინჟინერთა საერთაშორისო ასოციაციის (IAENG) წევრი). იგი არის 2 სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი (სოხუმის უნივერსიტეტში და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში); 22 -ზე მეტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი თსუ -ში; 5 სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი და დაცვის კოლეგიის წევრი (საქართველოს უნივერსიტეტში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში); არის სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტი (სოხუმის უნივერსიტეტში); 2018-2019 წლებში - იყო ფულბრაიტის მოწვეული მეცნიერი აშშ-ში (Fulbright Visiting Scholar in US). ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ, და სხვა ისეთი კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა. კერძოდ, კომისიის წევრები დაინტერესდნენ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატების შთამბეჭდავი რაოდენობით. პრეტენდენტმა განმარტა, რომ შეთავსებით თანამშრომლობს მერსი ქორფსის წარმომადგენლობასთან საქართველოში (Mercy Corps Georgia), რომელმაც 2023 წელს დაიწყო 3 წლიანი პროგრამა „უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“. ამ პროგრამის ფარგლებში მუდმივად ტარდება მონაწილეთა ტრენინგები, და თითოეული თემის წარმატებულად გავლისას გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის ლეღა მირცხულავას კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის

ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის გამოცხადებულ ვაკანსიაზე (კატეგორია „ბ“) ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ლელა მირცხულავას კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო პრეტენდენტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის (პრეტენდენტის აქტიური მოღვაწეობა როგორც თსუ-ში, ასევე სან დიეგოს პროგრამის ფარგლებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა თსუ -ში), სასწავლო-მეთოდური მუშაობისა (კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სავალდებულო კურსების წაკითხვა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე, ელექტრონული საბაკალავრო კურსების მომზადება/განახლება), და სამეცნიერო აქტივობის (საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციების წევრობა, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, საგრანტო პროექტებში და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, ფულბრაიტის მოწვეულ მეცნიერად აშშ-ში ყოფნა) შესახებ არსებულ მონაცემებს. კომისიამ ასევე გაითვალისწინა პრეტენდენტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

ერთხმად დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე (კატეგორია „ბ“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა კანდიდატი ლელა მირცხულავა.
2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ № 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა – შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 24.07.2024


კომისიის თავმჯდომარე:
პროფ. მაგდა ცინცაძე



კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ასოც. პროფ. გელა ბესიაშვილი



კომისიის მდივანი
ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი



კომისიის წევრი
ასოც. პროფ. მაია არჩუაძე

